



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 066/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ ჟვანია (სტუდენტი)

ფაქტები

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი, ვინაიდან, ადვოკატმა თ. ფ.-მ არ შეატყობინა მას, რომ ადვოკატად ერთვებოდა მისი კლიენტების: ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს საქმეში, ამავდროულად, აცხადებს, რომ ადვოკატი თ. ფ. საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და ამით ზიანი მიაყენა კლიენტთა ინტერესს.

სამართლებრივი შეფასება

საჩივრის ავტორმა მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ს მიერ აპეკ-ის მე-7 და მე-10.1 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას. სადავო საკითხთან დაკავშირებული ნორმა 2012 წლის საერთო კრებაზე ამოღებულ იქნა და რომ ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა, მათი შეთანხმება კონფიდენციალურია, რადგან ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების საფუძველზე ხდება, ხოლო ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა კლიენტის ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე არ აქვს, ხოლო მისი გამჟღავნება იწვევს ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევას. კოლეგიალობის არსიდან გამომდინარე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესის პრიორიტეტისაკენ და კანონის ფარგლებში მათი რეალიზებისაკენ. ამასთანავე, კოლეგიალობა ხელს უწყობს კლიენტების პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. კოლეგიალობა საბოლოო ჯამში კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა. საპროცესო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ შვებულებაში ყოფნისას ადვოკატ მ. ნ.-ს დაუკავშირდნენ მისი კლიენტები: ვ. ც., ბ. ჭ. და გ. მ., ხოლო მის მიერ შვებულების დროს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემდეგ, რისი კანონიერი უფლებაც გააჩნდა ადვოკატ მ. ნ.-ს, სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართეს ადვოკატ თ. ფ.-ს. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, კონფიდენციალური ინფორმაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს უფლებას ადვოკატს საჯაროდ გახადოს აღნიშნული საკითხი. კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე, ამას ითვალისწინებს აგრეთვე აპეკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად დაუშვებელია

¹ <https://gba.ge/pdf/5e3d327fede05.pdf/066.17%20ar%20agdzvra%2026.10.2017.pdf>

კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება. შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-ს თავისი მოქმედებით არ გამოუვლენია კოლეგის - ადვოკატ მ. ნ.-ს მიმართ უპატივცემულობა და არაკოლეგიალურობა. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. ფ.-ს კლიენტებს: ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს თ. ფ.-ს მიერ გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზია არ აქვთ, შესაბამისად, კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. ნ.-ს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი თ. ფ. საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და ამით ზიანი მიაყენა კლიენტთა ინტერესს, რადგან ამ პრეტენზიის მიმართ ადვოკატი არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

დასკვნა

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. ფ.-ს კლიენტებს: ვ. ც.-ს, ბ. ჭ.-ს და გ. მ.-ს თ. ფ.-ს მიერ გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზია არ აქვთ, შესაბამისად, კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ მ. ნ.-ს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი თ. ფ. საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და ამით ზიანი მიაყენა კლიენტთა ინტერესს, რადგან ამ პრეტენზიის მიმართ ადვოკატი არაუფლებამოსილი განმცხადებელია. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატ თ. ფ.-ს მიერ აპეკ-ის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის ნიშნებს და ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.